




ბამოცემის თარიღი: Date of Issue: 07-05-18.	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 10-05-18.	მოქმედების ვადა: Valid till:
<p>მიზანი: მემონტაჟეებად და ორმოს მჭრელებად დასაქირავებელ პირებთან ზეპირი შრომითი ხელშეკრულების დადების და აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება.</p> <p>Purpose: Concluding the Verbal Labour Agreement with the persons to be hired as fitters and hole diggers and regulating all related issues.</p>		
დოკუმენტის ტიპი: Type of Document: ბრძანება Order	რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and Document No.: OR 2018031	
<p>სათაური: მემონტაჟეებად და ორმოს მჭრელებად დასაქირავებელ პირებთან ზეპირი შრომითი ხელშეკრულების დადების და აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ.</p> <p>Title: On concluding the Verbal Labour Agreement with the persons to be hired as fitters and hole diggers and regulating all related issues</p>		
დამტკიცებულია: Approved by: ხელმძღვანელის თანამდებობა: Position of Manager: გენერალური დირექტორი General Director სახელი: Name: მიხეილ ბოცვაძე Mikheil Botsvadze	ხელმოწერა: Signature:  თარიღი: Date:	

<p>სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომსახურების ცენტრებში (შემდგომში მომსახურების ცენტრი) საყრდენების მონტაჟისთვის საჭირო ორმოს მჭრელებად და ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტის ფარგლებში, მემონტაჟებად, დასაქირავებელ პირებთან ზეპირი შრომითი ხელშეკრულების დადების და აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით,</p>	<p>With the purpose of concluding the Verbal Labor Agreement with the persons to be hired as hole diggers for installation of poles at the service centers (hereinafter service centers) of JSC “ENERGO-PRO Georgia” and fitters within the framework of Individual re-metering Project and regulating all related issues,</p>
<p>ვბრძანებ:</p>	<p>I Order:</p>
<p>1. მომსახურების ცენტრებში უწყვეტად სამ თვემდე პერიოდის განმავლობაში, ორმოს მჭრელებად და ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტის ფარგლებში მემონტაჟებად დაქირავებულ პირებთან გაფორმდეს ზეპირი შრომითი ხელშეკრულებები, რომლის სამუშაო პირობები და ანაზღაურების წესი განისაზღვრება სამუშაოს წარმოების აღწერილობით (დანართი N.1 და დანართი N.2-ით).</p>	<p>1. To conclude the Verbal Labor Agreement at the service centers with the persons to be hired as hole diggers and within the framework of Individual Re-metering Project-to the persons to be hired as fitters constantly within the period up to three months, work conditions and remuneration rule of which is defined by the description of work processing (by Annex 1 and Annex 2).</p>
<p>2. უწყვეტ რეჟიმში, სამ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში, მემონტაჟებთან და ორმოს მჭრელებთან გაფორმდეს წერილობითი შრომითი ხელშეკრულებები.</p>	<p>2. Written labor agreements should be concluded with the fitters and hole diggers in case of prolongation of the labor relations in constant mode for more than three months period.</p>
<p>3. შესაბამისი მომსახურების ცენტრების მთავარ ინჟინერებს დაევალოთ:</p>	<p>3. Chief engineers of corresponding Service Centers should be assigned:</p>
<p>3.1. ზეპირი ხელშეკრულების პირობების, ასევე სამუშაოს წარმოების აღწერილობის (დანართი N1; დანართი N2) მემონტაჟებად და ორმოს მჭრელებად დაქირავებული პირებისათვის გაცნობა და სამუშაოს წარმოების აღწერილობაზე (დანართი N1; დანართი N2) ხელმოწერის უზრუნველყოფა (მემონტაჟების და ორმოს მჭრელების მიერ ხელმოწერის დაფიქსირება შესაბამის დანართ N1 ან დანართ N2-ზე სავალდებულო იქნება მხოლოდ თავდაპირველად, ყოველ მომდევნო ჯერზე 3 თვემდე ზეპირი ხელშეკრულების დადებისას მათი ხელმოწერა სავალდებულო აღარ იქნება);</p>	<p>3.1. Introduction the terms of Verbal Agreement, also description of work processing (Annex N1; Annex N2) to the persons hired as fitters and hole diggers and provision of signature on the description of work processing (Annex N1; Annex N2) (Registration of signature by the fitters and hole diggers on appropriate Annex N1 or Annex N2 will be obligatory only initially, while concluding the Verbal Agreement up to 3 months per each next time their signature will not be obligatory);</p>

<p>3.2. ზეპირი შრომითი ხელშეკრულების დადების შემდგომ, საჭირო დოკუმენტაციის ასლების (საბანკო ანგ. ამონაწერი, პირადობის მოწმობის ასლი, ხელმოწერილი დანართი N1; N2 - ის ასლი) კომპანიის ფილიალის ფინანსურ განყოფილებებში გადაგზავნა;</p> <p>- დანართი N1; N2-ის (დედნების) შენახვა შესაბამის მ/ც-ში.</p>	<p>3.2. Sending the copies (extract of bank account, copy of ID card, copy of signed Annex N1; N2) of necessary documentation to the Financial Divisions of the company branch after concluding the Verbal Labour Agreement;</p> <p>- Storing of Annex N1; N2 (original copies) in corresponding S/C.</p>
<p>3.3. ორმოს მჭრელებს მიღებისას ჩაუტარონ შესავალი ინსტრუქტაჟი, ხოლო მემონტაჟეებს შესავალი და პირველადი ინსტრუქტაჟი. სამუშაო უბნის შეცვლისას ან მუშაობის 1 თვეზე მეტი წყვეტისას მემონტაჟეებს პირველადი ინსტრუქტაჟი ჩაუტარდეთ განმეორებით. ჩატარებული ინსტრუქტაჟები გაფორმდეს შესავალი და პირველადი ინსტრუქტაჟების ჟურნალებში.</p>	<p>3.3. Introductory instructions should be conducted to the diggers when hiring, introduction and primary instructions-to fitters. Primary instructions should be conducted over again to the fitters while changing working site or when having interruption in works for more than 1 month. Conducted instructions should be registered in introductory and primary instructions registers.</p>
<p>4. დაუშვებელია შრომითი მოვალეობის შესრულებაზე იმ მომუშავეთა დაშვება, რომლებმაც არ გაიარეს სწავლება, ინსტრუქტაჟი, სტაჟირება, ცოდნის შემოწმება შრომის უსაფრთხოების საკითხებში.</p>	<p>4. Workers who did not pass training, instructions, internship, checkup of knowledge in labor safety issues will not be permitted for performing the labor activities.</p>
<p>5. აკრძალულია ზეპირი გარიგებით მიღებული დაქირავებული პერსონალის 1000 ვ-ზე მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელების სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოებზე დაშვება.</p>	<p>5. It is prohibited to permit the hired personnel employed based on verbal agreement to repairing and installation works of electrical networks higher than 1000V.</p>
<p>6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “მემონტაჟეებად და ორმოს მჭრელებად დასაქირავებულ პირებთან ზეპირი შრომითი ხელშეკრულების დადების და აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ” ბრძანება N.OR2014062.</p>	<p>6. Order N.OR2014062 “On concluding the Verbal Labour Agreement with the persons to be hired as fitters and hole diggers and regulating all related issues” shall be declared as void.</p>
<p>7. ბრძანების შესრულების უზრუნველყოფა დაევალოს კომპანიის დაბალი და საშუალო ძაბვის ქსელის მართვის დეპარტამენტს.</p>	<p>7. Company’s Low and Middle Voltage Network Management Department shall be assigned to ensure implementation of the Order.</p>
<p>8. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პერსონალის ადმინისტრირებისა და ხელფასების კონტროლის განყოფილებას.</p>	<p>8. Control over fulfillment of the mentioned Order shall be assigned to the Personnel Administration and Salary Control Division.</p>
<p>9. ბრძანების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გაცნობა დაევალოს კომპანიის კანცელარიას.</p>	<p>9. Company Chancellery shall be assigned to introduce the Order to the corresponding structural units.</p>

მემონტაჟის სამუშაოს წარმოების აღწერილობა / Description of the work processing for the fitter

<p>1. მემონტაჟის შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია მისი ბრიგადის მიერ დამონტაჟებული მრიცხველების რაოდენობაზე და შეადგენს - ბრიგადის მიერ, დამონტაჟებულ თითოეულ მრიცხველზე - 7 (შვიდ) ლარს (ხელზე ასაღებ თანხას), რომელიც პროპორციულად ნაწილდება ბრიგადის წევრებზე.</p> <p>2. ანაზღაურების გადახდა წარმოებს სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" (შემდგომში-კომპანია) სახელფასო პროცედურის შესაბამისად, საჭირო დოკუმენტაციის ყოველკვირეულად წარმოდგენის შემთხვევაში. შრომის ანაზღაურება, როგორც წესი, ირიცხება მემონტაჟის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.</p> <p>3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის სახელფასო გადასახადის და ანარიცხის დაქვითვა მემონტაჟის ანაზღაურებიდან წარმოებს კომპანიის შესაბამისი სამსახურის მიერ.</p> <p>4. მემონტაჟის მრიცხველის მონტაჟის პერიოდში ტექნიკური მოთხოვნით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი მასალის კარგვის, მასალის ან/და მრიცხველის დაზიანების ან სამუშაოების არასრულყოფილად (სპეციფიკაციის ნორმების დარღვევით) შესრულების, ან სამუშაო იარაღისა და მასალა-ინვენტარის გაუფრთხილებლობით დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, მიეცემა კომპანიისათვის მიყენებული ზიანის შესაბამისი ოდენობით შემცირებული ანაზღაურება.</p> <p>5. მემონტაჟე (ბრიგადისთან ერთად) ასევე ვალდებულია კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანიის მიერ მითითებულ ვადაში განახორციელოს დამონტაჟებული მრიცხველების ქსელთან კომპანიის აბონენტების ქსელის მიერთებასთან დაკავშირებული სამუშაოები.</p>	<p>1. Labor remuneration of the fitter depends on the quantity of meters installed by his brigade and amounts to - 7 (seven) GEL (net amount) per each meter installed by the brigade, which is proportionally divided between the brigade members.</p> <p>2. Payment of remuneration is carried out in compliance with the salary procedure of JSC "ENERGO-PRO Georgia" (hereinafter the Company), in case of weekly submission of the necessary documentation the labor remuneration as a rule is transferred on fitter's bank account.</p> <p>3. Deduction of all kind of salary taxes and salary (accrual/billing) from the salary of fitter considered by Georgian Legislation is carried out by corresponding service of the Company.</p> <p>4. In case of material loss more than the quantity considered by technical request, damage of material or/and meter or incomplete (by violation of specification norms) performance of works, or damage of the work instrument and material-inventory with the negligence or loss during the period of meter installation, the fitter will be given the reduced remuneration in the amount relevant to the damage accrued to the Company.</p> <p>5. In case of the company request, the fitter (together with the brigade) is also obliged to carry out works connected with connection of the company customers network to the installed meters network within the time frame indicated by the Company.</p>
---	--

სამუშაოს წარმოების აღწერილობას გავცეანი / I got introduced with work description:

მემონტაჟის ხელმოწერა / Signature of fitter:

თარიღი / Date:

ორმოს მჭრელის სამუშაოს წარმოების აღწერილობა / Description of the work processing for the hole digger

<p>1. ორმოს მჭრელის შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია მისი ბრიგადის მიერ გაჭრილი ორმოების რაოდენობაზე, რაც დასტურდება შესრულებული სამუშაოს აქტებით.</p> <p>2. თითოეულ გაჭრილ ორმოზე ბრიგადის წევრების ჯამური ანაზღაურება შეადგენს 20 ლარს (ხელზე ასაღები თანხა), რომელიც თანაბრად ნაწილდება ბრიგადის თითოეულ წევრზე.</p> <p>3. ანაზღაურების გადახდა წარმოებს სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” (შემდგომში-კომპანია) სახელფასო პროცედურის შესაბამისად, საქირო დოკუმენტაციის ყოველკვირეულად წარმოდგენის შემთხვევაში. შრომის ანაზღაურება როგორც წესი, ირიცხება ორმოს მჭრელის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.</p> <p>4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის სახელფასო გადასახადისა და ანარიცხის დაქვეითვა ორმოს მჭრელის შრომის ანაზღაურებიდან წარმოებს კომპანიის შესაბამისი სამსახურის მიერ.</p> <p>5. ორმოს მჭრელის მიერ მუშაობის პერიოდში მასალის კარგვის, მასალების დაზიანების ან სამუშაოების არასრულყოფილად (სპეციფიკაციის ნორმების დარღვევით) შესრულების, ან სამუშაო იარაღებისა და მასალა-ინვენტარის გაუფრთხილებლობით დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მიეცემა კომპანიისათვის მიყენებული ზიანის შესაბამისი ოდენობით შემცირებული ანაზღაურება</p>	<p>1. Labor remuneration of the hole digger depends on the number of holes dug by his brigade, confirmed by the Acts on carried out works.</p> <p>2. Total remuneration of the brigade members per each dug hole amounts to 20 GEL (net amount), which is equally divided between each brigade member.</p> <p>3. Payment of remuneration is carried out in compliance with the salary procedure of JSC “ENERGO-PRO Georgia” (hereinafter the Company), in case of weekly submission of the necessary documentation, the labor remuneration as a rule is transferred on hole digger's bank account.</p> <p>4. Deduction of all kind of salary taxes and salary (accrual/billing) from the labor remuneration of hole digger considered by the Georgian Legislation is carried out by corresponding service of the Company.</p> <p>5. In case of material loss, damage or incomplete (by violation of specification norms) performance of works, or damage of work instruments and material-inventory with the negligence or loss during the period of working, the hole digger will be given the reduced remuneration in the amount relevant to the damage accrued to the Company.</p>
---	---

სამუშაოს წარმოების აღწერილობას გავეცანი / I got introduced with work description:

ორმოს მჭრელის ხელმოწერა / Signature of hole digger:

თარიღი/Date:

თარიღი / Date: